

საბანკო მომსახურების საერთო პირობებში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება/დამატებები:

დეფინიციების ჩამონათვალს დაემატოს **ფინანსური ნომრის** დეფინიცია 1.64 პუნქტად, ასევე ცვლილება შევიდეს **დეფინიციების** 1.56.1. ქვეპუნქტსა (ერთჯერადი კოდი) და 3.4.16, 3.4.19, 3.4.20, 3.24.1.1., 3.24.2 ქვეპუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- 1.56.1. **ერთჯერადი კოდი** - შემთხვევითი წესით დაგენერირებული ციფრების კომბინაცია, რომელიც გამოიყენება **დისტანციურ საბანკო მომსახურებისას ოპერაციების ან/და ბანკის** მიერ განსაზღვრული **ოპერაციების** წარმოებისა და დასადასტურებლად.
- 1.64. **ფინანსური ნომერი** - კლიენტის სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც რეგისტრირდება **ბანკის სისტემაში** ამავე ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდის დადასტურების გზით უნიკალურ ნომრად და რომელზეც **ბანკის** მიერ იგზავნება **საბანკო პროდუქტების/საბანკო მომსახურების** სარგებლობასთან/გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე **ერთჯერადი კოდები ან/და წვდომის კოდები**;
- 3.4.16. **კლიენტი** უფლებამოსილია **ინტერნეტ ბანკში** და **მობილ ბანკში** შეცვალოს, როგორც **მომხმარებლის სახელი**, ასევე **პაროლი**. აგრეთვე, **ინტერნეტ ბანკში** შეცვალოს იმ მობილური ტელეფონის ნომერი (**ფინანსური ნომერი**), რომელიც გამოიყენება **ავტორიზაციისათვის**, ხოლო **ბანკომატში**, სერვისცენტრში, **ინტერნეტ ბანკში** (მხოლოდ ვებ-გვერდიდან [ibank.ge](http://ibank.ge)) ან **მობილ ბანკში** ადადგინოს **პაროლი**.
- 3.4.19. **ერთჯერადი კოდი კლიენტს** შესაძლებელია მიეწოდოს **ფინანსურ ნომერზე** ან ელექტრონულ ფოსტაზე (4 ციფრისგან შედგენილი **ერთჯერადი კოდი**) ან/და **Digipass**-ით (6 ციფრისგან შედგენილი **ერთჯერადი კოდი**).
- 3.4.20. **ერთჯერადი კოდის ფინანსურ ნომერზე** გაგზავნა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული **ფინანსური ნომერი** რეგისტრირებულია **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**.
- 3.24.1.1 **ბანკი, კლიენტის** მიერ დასახელებულ/წინასწარ განსაზღვრულ **ფინანსურ ნომერზე** ან/და სხვა მობილური ტელეფონის ნომერზე, **კლიენტს** გაუგზავნის შესაბამისი **ოპერაციის, დავალების** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) მონაცემს (მონაცემი განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ) და SMS კოდს;
- 3.24.2. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი იმ შესაძლო ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა დადგეს იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის** მიერ დასახელებული/წინასწარ განსაზღვრული იქნება ის **ფინანსური ნომერი** ან/და სხვა მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზეც SMS-ის გაგზავნამაც შესაძლოა გამოიწვიოს აღნიშნული ზიანი/ზარალი.

შევიდეს ცვლილებები საბანკო მომსახურების საერთო პირობების N3 დანართში - ავტომატური გადახდები:

21 და 22 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- 21. **ბანკი** უფლებამოსილია **დავალების** შესრულების შესახებ ინფორმაცია, **მოკლე ტექსტური** შეტყობინებით, მხოლოდ ერთხელ გააგზავნოს **კლიენტის ფინანსურ ნომერზე**. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი თუ რაიმე მიზეზით, გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება არ აისახა **კლიენტის ფინანსურ ნომერზე**.
- 22. **კლიენტის** მიერ **ფინანსური ნომრის** შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში ამგვარი ინფორმაციის **ბანკისათვის** მიწოდებაზე პასუხისმგებელია **კლიენტი**.

შევიდეს ცვლილებები საბანკო მომსახურების საერთო პირობების N14 დანართში - ბარათის 3D მომსახურება:

მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- 3. **განაცხადში კლიენტი/ბარათის მფლობელი** მიუთითებს **ფინანსურ ნომერს** ან/და **Digipass**-ს, რომელზეც მის მიერ ინტერნეტით (ონლაინ) გადახდის/გადარიცხვის განხორციელებისას გაიგზავნება **ერთჯერადი კოდი**, შესაბამისი გადახდის/გადარიცხვის განხორციელების დამატებითი დადასტურებისათვის.

შევიდეს ცვლილებები საბანკო მომსახურების საერთო პირობების N6 დანართში - SMS ბანკი:

პირველი, 5.4, 8.1, 8.2, 8.3, 11, 12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- 1. **SMS ბანკის** საშუალებით **კლიენტს** უფლება აქვს **განაცხადში** დაფიქსირებულ **ფინანსურ ნომერზე** მიიღოს **განაცხადით** მოთხოვნილი ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან/და აწარმოოს **გადახდა**.

**5.4. შეცვალოს SMS ბანკისთვის გაწერილი ფინანსური ნომერი;**

- 8.1. ბანკისთვის მიწოდებული ფინანსური ნომერი** მის მფლობელობაშია. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი დაუყოვნებლივ არ შეატყობინებს ბანკს ამ ფაქტთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, აღნიშნული ფინანსური ნომრიდან გაგზავნილი/მიღებული დავალება ჩაითვლება კლიენტის მიერ გაგზავნილად/მიღებულად და გამოირიცხება ბანკის რაიმე სახის პასუხისმგებლობა.
- 8.2.** დაუყოვნებლივ შეატყობინებს ბანკს ფინანსური ნომრის ცვლილების, ტელეფონის დაკარგვის, კლიენტის მიერ ტელეფონზე ან/და ფინანსურ ნომერზე მფლობელობის გაუქმების/დაკარგვის ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბანკის მიერ SMS-ბანკით მომსახურების მიწოდებაზე.
- 8.3.** იგი პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელიც გაგზავნილი იქნება ფინანსური ნომრიდან.
- 11. SMS ბანკის მომსახურების** გაწევისას ბანკი დაეყრდნობა ფინანსური ნომრიდან მიღებულ დავალებას და ბანკი არ არის ვალდებული შეამოწმოს გამომგზავნი პიროვნება ან მოკლე ტექსტური შეტყობინების ნამდვილობა.
- 12. კლიენტი** პასუხისმგებელია ფინანსური ნომრის არავებრივად გამოყენებაზე შესამე პირების მხრიდან.

**შევიდეს ცვლილებები საბანკო მომსახურების საერთო პირობების N7 დანართში – ინტერნეტ ბანკი**

**5.18, 6.12 და 7.7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

- 5.18. შეცვალოს სარეგისტრაციო პარამეტრები (მისამართი, ფინანსური ნომერი);
- 6.12. შეცვალოს სარეგისტრაციო პარამეტრები (მისამართი, ფინანსური ნომერი);
- 7.7. სარეგისტრაციო პარამეტრების (მისამართი, ფინანსური ნომერი) ცვლილება;

**შევიდეს ცვლილებები საბანკო მომსახურების საერთო პირობების N8 დანართში – მობილ ბანკი**

**მე-4, მე-7 და 8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

- 4. თუ კლიენტი დარეგისტრირებულია ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში და აქვს მომხმარებლის სახელი და პაროლი, მობილ ბანკის გასააქტიურებლად მან მობილ ბანკის აპლიკაციის ჩამოტვირთვის შემდეგ, შესაბამის ფორმაში უნდა შეიყვანოს მომხმარებლის სახელი და პაროლი და აქტივაცია დაადასტუროს ერთჯერადი კოდით, რომელსაც მიიღებს ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში დაფიქსირებულ ფინანსურ ნომერზე. თუ კლიენტი სარგებლობს Digipass-ით, შესაძლებელია Digipass-ით დაგენერირებული ერთჯერადი კოდის გამოყენებაც.
- 7. კლიენტი, რომელიც ფლობს ბანკის მინიმუმ ერთ ბარათს (სადებეტო/საკრედიტო) შესაძლებლობა აქვს მობილ ბანკით დარეგისტრირდეს ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში. რეგისტრაციისას კლიენტი უთითებს ბარათის ნომერს, ბარათის მოქმედების ვადას და CVV კოდს, რის შემდეგაც უნდა მიუთითოს ერთჯერადი კოდი, რომელიც მიიღებს ბანკში სარეგისტრაციო ფორმაში დაფიქსირებულ ფინანსურ ნომერზე. ერთჯერადი კოდის წარმატებით მითითების შემდეგ, კლიენტი უთითებს სასურველ მომხმარებლის სახელსა და პაროლს ორჯერ.
- 8. მობილ ბანკით პაროლის აღსადგენად შესაბამის ფორმაში კლიენტმა უნდა მიუთითოს ბარათის ნომერი, ბარათის მოქმედების ვადა, CVV კოდი და ერთჯერადი კოდი, რომელსაც მიიღებს ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში დაფიქსირებულ ფინანსურ ნომერზე. თუ კლიენტი სარგებლობს Digipass-ით, შესაძლებელია Digipass-ით დაგენერირებული ერთჯერადი კოდის გამოყენებაც.

**შევიდეს ცვლილებები საბანკო მომსახურების საერთო პირობების N9 დანართში – იმეილ ბანკი**

**მე-5 და 8.2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

- 5. კლიენტის იდენტიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს დიჯიტალური დაგენერირებული ერთჯერადი კოდით ან/და ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში დაფიქსირებულ კლიენტის ფინანსურ ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდით, ბანკის მოთხოვნის შესაბამისად.
- 8.2. იმეილ ბანკის ფარგლებში გაგზავნილი დავალების დასადასტურებლად დაუკავშირდეს კლიენტს ბანკში, კლიენტის სარეგისტრაციო ფორმაში დაფიქსირებულ ფინანსურ ნომერზე და მოსთხოვოს კლიენტს დავალების დასადასტურება. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ვერ დაუკავშირდება კლიენტს აღნიშნულ ფინანსურ ნომერზე დავალების ბანკისთვის გაგზავნის დღის 18:00 საათამდე (იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული დღე ემთხვევა არასაბანკო დღეს, მომდევნო საბანკო დღის ბოლომდე) დავალება გაუქმდება ავტომატურად კლიენტისათვის დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე.

**შევიდეს ცვლილებები საბანკო მომსახურების საერთო პირობების N20 დანართში – Digipass**

**მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

- 10 Digipass აპლიკაციის გასააქტიურებლად ბანკი კლიენტს, ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში არსებულ ფინანსურ ნომერზე გაუგზავნის ერთჯერად კოდს.